

საქართველოს მთავრობის შემადგენლობა:

საქართველოს პრემიერ-მინისტრი – **ვლადიმერ გურგენიძე**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი – **გიორგი ნოდია**

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი – **ზაალ გამცემლიძე**

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი – **ეკატერინე შარაშიძე**

საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრი – **ალექსანდრე ხეთაგური**

საქართველოს თავდაცვის მინისტრი – **დავით კეზერაშვილი**

საქართველოს იუსტიციის მინისტრი – **ნიკა გვარამია**

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი – **ნიკოლოზ ვაჩიშვილი**

საქართველოს ლგოლფილთა და განსახლების მინისტრი – **კობა სუბელიანი**

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი – **დავით ბაქრაძე**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი – **პეტრე ცისკარიშვილი**

საქართველოს ფინანსთა მინისტრი – **ნიკა გილაური**

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი – **ივანე მერაბიშვილი**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი – **ალექსანდრე კვიციანი**

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი რეგიონული მართვის საკითხებში – **დავით გყემულაშვილი**

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში – **გიორგი ბარაშიძე**

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში – **იულენ გაგოშიძე**

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში – **თემურ იაკობაშვილი**

ც ნ თ ბ ა

ვლადიმერ გურგენიძე დაიბადა 1970 წლის 7 დეკემბერს. 1993 წელს დაამთავრა ემორის უნივერსიტეტი (ატლანტა, აშშ). მინიჭებული აქვს ბიზნესის მაგისტრის ხარისხი.

2006 წლის მაისში ვლადიმერ გურგენიძე არჩეულ იქნა „საქართველოს ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ. სამეთვალყურეო საბჭოში არჩევამდე 2004 წლის ოქტომბრიდან იგი მოღვაწეობდა „საქართველოს ბანკის“ გენერალურ დირექტორად, აგრეთვე არის „გალტ ენდ თაგგარტ სიქიურითისა“ და „გალტ ენდ თაგგარტ კაპიტალის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და საქართველოს საფონდო ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

სამ წელიწადზე ნაკლებ დროში ვლადიმერ გურგენიძემ შეკრიბა გამოცდილი პროფესიონალების გუნდი, რომლებიც მუშაობდნენ „ეი-ბი-ენ ამროში“, „იუ-ბი-ეს-ში“, „გოლდმან საქსში“, „კრედი სუისში“, „ნომურაში“, დოიჩე ბანკში“, „მორგან სტენლიში“, „რაფაიზეინში“, „იუნიკრედიტში“, „ჯეი ფი მორგანსა“ და სხვა მსოფლიოში ცნობილ კომპანიებში. მათი მუშაობის შედეგად „საქართველოს ბანკი“ 25 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის საბაზრო კაპიტალიზაციისა და მთლიანი აქტივების მიხედვით 18%-იანი საბაზრო წილის მქონე ადგილობრივი საფონდო ბირჟის ლისტინგში მყოფი კომპანიიდან გადაიქცა 952 მილიონი აშშ დოლარის საბაზრო კაპიტალიზაციისა და მთლიანი აქტივების მიხედვით 34%-იანი საბაზრო წილის მქონე, ლონდონის საფონდო ბირჟის ლისტინგში მყოფ უნივერსალურ ბანკად.

„საქართველოს ბანკის“ გენერალურ მდივნად დანიშვნამდე ვლადიმერ გურგენიძე იყო მმართველი დირექტორი და ევროპის რეგიონული მენეჯერი საინვესტიციო ბანკ „კუტნამ ლოველში“, მუშაობდა აგრეთვე „ეი-ბი-ენ ამროში“ სხვადასხვა თანამდებობებზე, მათ შორის: მმართველ დირექტორად და ტექნოლოგიური სექტორის კორპორატიული ფინანსების ხელმძღვანელად (2001-2003 წწ.), ევროპის

მზარდ ბაზრებზე შესყიდვებისა და შერწყმის ხელმძღვანელად (1998-2000 წწ.).

1998 წელს ვლადიმერ გურგენიძე ხელმძღვანელობდა „ეი-ბი-ენ ამროს“.

2007 წლის 23 ნოემბერს დაინიშნა საქართველოს პრემიერ-მინისტრად.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

24.01.2008წ

საქართველოს მთავრობის კანცელარიის
საკადრო საკითხთა დეპარტამენტის

კ. ამირანიძე

უფროსი

ც ნ ო ბ ა

ზაალ გამცემლიძე დაიბადა 1949 წლის 22 თებერვალს ქ. თბილისში. 1972 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი, არის ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

1972 წლიდან 1986 წლამდე იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნიკო კეცხოველის სახელობის ბოტანიკის ინსტიტუტის ექსპერიმენტალური ეკოლოგიის ლაბორატორიის მეცნიერ თანაშრომელი.

1986-1994 წლებში ჯერ იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნიკო კეცხოველის სახელობის ბოტანიკის ინსტიტუტის ყაზბეგის მაღალმთის ეკოლოგიური სტაციონარის გამგე, ხოლო შემდეგ ამავე ინსტიტუტის მცენარეთა ბიოეკოლოგიის ლაბორატორიის გამგე.

1994 წლიდან 2006 წლის მაისამდე მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნიკო კეცხოველის სახელობის ბოტანიკის ინსტიტუტის მცენარეთა კონსრევაციის განყოფილების გამგედ.

2006 წლის მაისიდან 2007 წლის დეკემბრამდე იყო ნიკო კეცხოველის სახელობის ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორი, ხოლო 2007 წლის 4 დეკემბერს დაინიშნა თბილისის ბოტანიკური ბაღისა და ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორად.

მონაწილეობდა საერთაშორისო პროგრამებსა და პროექტებში, საერთაშორისო კონფერენციებში და საველე ექსპედიციებში.

ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს.

საქართველოს მთავრობის კანცელარიის
საკადრო საკითხთა დეპარტამენტის
უფროსი

კ. ამირანიძე

ც ნ ო ბ ა

ეკატერინე შარაშიძე დაიბადა 1974 წლის 1 თებერვალს ქ. თბილისში.

2006 წლის ნოემბერში ეკატერინე შარაშიძე დაინიშნა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსად. აღნიშნულ დანიშვნამდე ის იყო საქართველოს პრეზიდენტის სპეციალური მრჩეველი ეკონომიკური განვითარებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სფეროში.

მისი თითქმის 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და გერმანიაში მრავალმხრივია და სიღრმისეულ ცოდნას და უნარების დიდ მრავალფეროვნებას აერთიანებს - დაწყებული „ბუზ ალენ ჰამილტონის“ მენეჯმენტ კონსალტინგიდან, დამთავრებული „გოლდმან სასსმ“ საინვესტიციო ბანკინგით, სარისკო კაპიტალის მართვით „სტარტ ან ავენიუზე“, სილატაკის დამლევისა და კერძო სექტორის განვითარებისათვის მუშაობით გაეროში.

სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ ეკატერინე გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც მოძღვრობდა 15 წელი დაჰყო. მან ფრიაღზე დაამთავრა ბაკალავრიატი სენტ ჯოზეფის ასევე პენსილვანიის უნივერსიტეტში (1991 - 1995), დაიცვა ბაკალავრის ხარისხი ეკონომიკაში, ინგლისურ ენასა და სელოვნების ისტორიაში. შემდეგ - მაგისტრის ხარისხი საჯარო პოლიტიკაში ჰარვარდის უნივერსიტეტის მმართველობის კენედის სკოლაში (1997 - 1999) და მაგისტრის ხარისხი ასევე ბიზნეს ადმინისტრირებაში (1999 - 2001) მასაჩუსეტის ტექნოლოგიკის ინსტიტუტის მენეჯმენტის სკოლაში.

თავისუფლად ფლობს ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებს. საუბრობს გერმანულად და ფრანგულად. აქვს საქართველოს და ამერიკის შეერთებული შტატების ორმაგი მოქალაქეობა.

საქართველოს მთავრობის კანცელარიის

საკადრო საკითხთა დეპარტამენტის უფროსი

კ. ამირახიძე

ც ნ ო ბ ა

ალექსანდრე ხეთაგური დაიბადა 1976 წელს ქ. თბილისში. 1997 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი. 2000 წელს ქ. თბილისის ბიზნესისა და მარკეტინგის ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტი, ხოლო 2002 წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტი, არის ენერგეტიკის ეკონომიკის მაგისტრი.

1999-2000 წლებში მუშაობდა საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის აპარატის ეკონომიკურ დეპარტამენტში წამყვან სპეციალისტად, ხოლო 2000 წლიდან 2002 წლამდე ეკონომიკური დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტად.

2002 წელს დაინიშნა საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის აპარატის მეთოდოლოგიური და ინფორმაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორად.

2004 წლის 5 მარტიდან 2006 წლის 27 ნოემბრამდე იყო ჯერ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე, ხოლო შემდეგ მინისტრის პირველი მოადგილე.

2006 წლის 27 ნოემბერს დაინიშნა „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ გენერალურ დირექტორად, ხოლო 2007 წლის 30 აგვისტოს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრად.

ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს.
პყავს შეუღლე და ორი შვილი.

24.01.2008წ

საქართველოს მთავრობის კანცელარიის
საკადრო საკითხთა დეპარტამენტის
უფროსი

ქ. ამირანიძე

ც ნ ო ბ ა

დავით კეზერაშვილი დაიბადა 1978 წელს ქ. თბილისში. 1999 წელს დაამთავრა იე. ჯაფარიძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი.

2001 წელს მუშაობდა დაიწყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტში ჯერ ინსპექტორად, ხოლო შემდეგ ინფორმაციის მოპოვებისა და ანალიზის სამმართველოს უფროსად. იმავე წელს დაინიშნა მიხეილ სააკაშვილის მავორიტარული არჩევნების საარჩევნო მტაბის ოფის-მენეჯერად.

2002-2003 წლებში იყო საკრებულოს თავმჯდომარის თანამემწე.

2004 წელს დაინიშნა ჯერ საქართველოს პრეზიდენტის თანამემწედ, ხოლო შემდეგ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მრჩეველის თანამდებობაზე.

2004 წლის 15 მარტიდან 2006 წლის 10 ნოემბრამდე მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის უფროსად.

2006 წლის 10 ნოემბერს დაინიშნა საქართველოს თავდაცვის მინისტრად. ფლობს რუსულ, ინგლისურ და იერიულ ენებს.

პყავს მეუღლე და ერთი შვილი.

24.01.2008წ.

საქართველოს მთავრობის კანცელარიის
საკადრო საკითხთა დეპარტამენტის
უფროსი

ქ. ამირანაიძე

ც ნ ო ბ ა

ნიკა გვარამია დაიბადა 1976 წლის 29 ივნისს. 1998 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, ამავე წელს ჩააბარა ასპირანტურაში რომლის სრული კურსი დაამთავრა 2001 წელს.

2000-2003 წლებში იყო შ.პ.ს. საადვოკატო კომპანია "სანდოს" საჯარო სამართლის დირექტორი-ადვოკატი.

2003 წლიდან 2004 წლამდე მუშაობდა ს.ს. თელასის იურისტად.

2004-2007 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის წევრი და პარალელურად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი.

2007 წლის აპრილიდან დღემდე არის საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე.

ფლობს რუსულ ენას.

საქართველოს მთავრობის კანცელარიის
საკაღრო საკითხთა დეპარტამენტის
უფროსი

კ. ამირანიძე

ც ნ ო ბ ა

ნიკოლოზ ვაჩეიშვილი დაიბადა 1968 წლის 26 მაისს. 1990 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია.

1997 წელს მიენიჭა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი (თემა: საქართველოს რეგიონალური სკოლები: ჯავახეთის X-XI საუკუნეების ხუროთმოძღვრება).

1990 წლიდან დღემდე არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი.

1991 წლიდან დღემდე არის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პედაგოგი.

1991–2003 წლებში იყო თბილისის სასულიერო აკადემიის პედაგოგი

1996–2003 წლებში იყო თსუ–ს ახალციხის ფილიალის პედაგოგი.

1990–1992 წლებში მუშაობდა საქართველოს ძეგლთა დაცვის სამმართველოს სარესტავრაციო ძეგლთა ექსპერტ–კონსულტანტად.

1997–1998 წლებში იყო ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული პროგრამის საქსპერტო კომისიის თავმჯდომარე.

1998–2000 წლებში იყო მსოფლიო ბანკის, ევროსაბჭოსა და საქართველოს მთავრობის პროგრამის – „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ინიციატივა“ ექსპერტი.

1998 წლიდან დღემდე არის საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო ხელოვნების საბჭოს წევრი.

2000 წლიდან სერიის „საქართველოს მეგზური“ ავტორი და გამომცემელი.

2002 წლიდან საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის „საქართველოს სიძველენი“ გამომცემელ–რედაქტორი. ამავე წელს იყო საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის ურბანული მემკვიდრეობის სამეცნიერო–მეთოდური საბჭოს წევრი და „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის საინფორმაციო ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორი.

2003 წლიდან „ქართველ სიძველეთა მოძიებისა და კვლევის ცენტრის“ დირექტორატისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული „უცხოეთში ქართული ძეგლების“ კომისიის წევრი.

2004 წლის 7 მარტს დაინიშნა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილედ, ხოლო 2006 წლის 28 ივნისს პირველ მოადგილედ.

ჰყავს მეუღლე და ერთი ქალიშვილი.

24.01.2008წ.

საქართველოს მთავრობის კანცელარიის
საკადრო საკითხთა დეპარტამენტის
უფროსი

კ. ამირახიძე

ც ნ ო ბ ა

კობა ხუბელიანი დაიბადა 1978 წლის 3 ოქტომბერს. 1995 წელს წაირიცხა ქ. თბილისის სასულიერო სემინარიაში და დაამთავრა 1999 წელს. იმავე 1999 წელს წაირიცხა ქ. თბილისის სასულიერო აკადემიაში, რომელიც 2004 წელს დაამთავრა.

1998-2004 წლებში მუშაობდა საქართველოს საპატრიარქოს სხვადასხვა განყოფილებებში. 1994 წლიდან იყო საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის სტიქაროსანი.

2004 წლის 1 ოქტომბრიდან 2005 წლის მასამდე მუშაობდა სამეგრელო ზემო-სვანეთში პრეზიდენტის რწმუნებულის ფონდის ადმინისტრაციულ დირექტორად.

2005 წლის მასიდან 2005 წლის 2 აგვისტომდე მუშაობდა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსად. 2005 წლის 2 აგვისტოდან 2007 წლის 22 ნოემბრამდე მუშაობდა თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსად. 2007 წლის 22 ნოემბერს დაინიშნა საქართველოს დტოლვილთა და განსახლების მინისტრად.

ქვევს მუედლე და ერთი შვილი.

საქართველოს მთავრობის კანცელარიის

საკადრო საკითხთა დეპარტამენტის უფროსი

ქ. ამირხიცი

ც ნ თ ბ ა

დავით ბაქრაძე დაიბადა 1972 წელს ქ. თბილისში. 1994 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური ინსტიტუტის საინჟინრო-ფიზიკური ფაკულტეტი. ხოლო 1996 წელს სახელმწიფო მმართველობის ქართულ-ამერიკული ინსტიტუტი. არის ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი. სახელმწიფო მართვის მაგისტრი. გამოქვეყნებული აქვს 5 მეცნიერული შრომა.

1997 წლის აპრილიდან 2002 წლის თებერვლამდე მუშაობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში განიარაღებისა და შეიარაღებაზე კონტროლის სამმართველოს უფროსის მოადგილედ, სამმართველოს უფროსად, ხოლო შემდეგ სამხედრო პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორის მოადგილედ.

2002-2004 წლებში იყო ეროვნული უშიშროების საბჭოს უშიშროების საკითხთა სამსახურის უფროსი. საგარეო პოლიტიკური უსაფრთხოებისა და კონფლიქტების დეპარტამენტის დირექტორი.

მუშაობის პერიოდში გავლილი აქვს პროფესიული მომზადების რამოდენიმე კურსი. 1997 წელს სწავლობდა შვეიცარიის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტში (ქ. ჟენევა). 1998 წელს ევროპული უსაფრთხოების საკითხთა კვლევის ცენტრში (გერმანია), ხოლო 2001 წელს დაამთავრა ნატოს თიედაცვის კოლეჯი.

იყო საქართველოს პარლამენტის წევრი, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე.

მსნიჭებული აქვს პირველი კლასის სახელმწიფო მრჩევლის საკლასო ჩინი და უფროსი მრჩევლის დიპლომატიური რანგი.

2007 წლის 19 იელისს დაინიშნა საქართველოს სახელმწიფო მინისტრალ კონფლიქტების მოგვარების საკითხებში.

ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს.

პყავს მეუღლე და ერთი შვილი.

24.01.2008წ.

საქართველოს მთავრობის კანცელარიის
საკადრო საკითხთა დეპარტამენტის
უფროსი

ქ. ამირახიძე

ც ნ ო ბ ა

პეტრე ცისკარიშვილი დაიბადა 1974 წელს ქ. თბილისში. 1991 წელს წარჩინებით დაამთავრა შტატის ბასალტის სამკლავო სკოლა (კოლორადო, აშშ). 1991-1992 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე. ხოლო შემდეგ სწავლა გააგრძელა აშშ-ში ქ. მინეაპოლისის აუზბურგის ინსტიტუტში. 1998 წელს დაამთავრა თბილისის საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტი მარკეტინგისა და კომერციის სპეციალობით. 1997 წლის ოქტომბერში გაიარა სემინარების კურსი: საფრანგეთში, დანიასა და ინგლისში EU-TACIS-ის პროგრამით.

1997-1998 წლებში მუშაობდა საქართველოს მრეწველობის სამინისტროში ჯერ მინისტრის თანამემწედ, ხოლო შემდეგ საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა სამმართველოს უფროსად.

1998-1999 წლებში იყო ს.ს. „ქართუ ჯგუფის“ ფინანსური მენეჯერი.

1999 წლიდან იყო საქართველოს პარლამენტის წევრი. მაკროეკონომიკური რეგულირებისა და ინვესტიციების ქვეკომიტეტის თავმჯდომარე.

2001 წელს ავსტრიაში გაიარა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ორგანიზებული სემინარების კურსი თემაზე: „გარდამავალი ეკონომიკის პირობებში მყოფი ქვეყნების პრობლემები და კრიზისიდან გამოყვანის გზები“.

2003 წელს დაინიშნა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ.

2004-2006 წლებში იყო საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული კახეთის მხარეში.

2006 წლის 10 ნოემბრიდან არის საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი.

2006 წელს არჩეულ იქნა საქართველოს კრივის ფედერაციის პრეზიდენტად.

ფლობს რუსულ, ინგლისურ და იტალიურ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

24.01.2008წ

საქართველოს მთავრობის კანცელარიის
საკადრო საკითხთა დეპარტამენტის
უფროსი

კ. ამირანიძე

ც ნ ო ბ ა

ნიკა გილაური დაიბადა 1975 წელს ქ. თბილისში. სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფაკულტეტზე. 1998 წელს დაამთავრა ინგლისის ბიურნემოუნტის კოლეჯი, ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები. 1999 წელს წარჩინებით დაამთავრა ლიმერიკის უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი ფინანსებისა და ეკონომიკის განხრით.

1999-2000 წლებში სწავლობდა ფილადელფიის ტემპლის უნივერსიტეტში. 2000 წელს დაიცვა ამავე უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხი საერთაშორისო ბიზნეს მენეჯმენტში. პარალელურად 1999 წელს მუშაობდა ღებლის საერთაშორისო საფინანსო ცენტრში – საფონდო მენეჯმენტის კორპორაცია “ინვესკომი” - ფონდების ადმინისტრატორ-მენეჯერად.

2000 წელს იყო ფილადელფიის, მცირე ბიზნესის განვითარების ცენტრის ენერგოდაზოგვის პროექტების ფინანსური კონსულტანტი.

2001 წელს დაინიშნა საქართველოს ტელეკომში ფინანსურ კონსულტანტად, ხოლო 2002 წელს - ესპანური კონსორციუმის – იბერდროლას საქართველოს ენერგობაზრის მენეჯმენტ-კონტრაქტორად, ფინანსურ კონსულტანტად.

2003 წლიდან 2004 წლის თებერვლამდე მუშაობდა ირლანდიური კომპანია „ი-ეს-ბი-იში“ საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მენეჯმენტ-კონტრაქტორად, ფინანსურ მაკონტროლებლად.

2004 წლის 17 თებერვლიდან დაინიშნა საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრად, ხოლო 2007 წლის 30 აგვისტოს საქართველოს ფინანსთა მინისტრად.

ფლობს ინგლისურ ენას.

24.01.2008წ.

საქართველოს მთავრობის კანცელარიის
საკადრო საკითხთა დეპარტამენტის
უფროსი

კ. ამირახიძე

ც ნ ო ბ ა

ივანე მერაბიშვილი დაიბადა 1968 წელს ადიგენის რაიონის სოფელ უღეში. 1992 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო ფაკულტეტი.

1992-1995 წლებში მუშაობდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში და აგრარულ უნივერსიტეტში ლაბორანტად, უფროს ლაბორანტად, ასისტენტად, უმცროს მეცნიერ თანამშრომლად.

1995 წლიდან იყო მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი.

1999 წელს არჩეულ იქნა საქართველოს პარლამენტის წევრად.

2000 წლიდან იყო საქართველოს პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების კომიტეტის თავმჯდომარე. 2002 წლიდან საქართველოს ნაციონალური პარტიის გენერალური მდივანი.

2004 წლის 26 იანვრიდან 7 ივნისამდე იყო საქართველოს პრეზიდენტის თანამშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი.

2004 წლის 7 ივნისიდან 18 დეკემბრამდე იყო საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრი. 2004 წლის 18 დეკემბრიდან დაინიშნა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრად.

ფლობს ინგლისურ ენას.

ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

24.01.2008წ.

საქართველოს მთავრობის კანცელარიის
საკადრო საკითხთა დეპარტამენტის
უფროსი

კ. ამირანიძე

ც ნ ო ბ ა

ალექსანდრე კვიტაშვილი დაიბადა ქ. თბილისში 1970 წლის 15 ნოემბერს. 1992 წელს წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიული ფაკულტეტი ევროპისა და აშშ-ს უახლესი ისტორიის სპეციალობით. 1992 წელს მასკის პროგრამაში გამარჯვების შემდეგ ნიუ იორკის უნივერსიტეტის რობერტ ფ. ვაგნერის სახელობის სახელმწიფო მართვის სკოლაში. 1993 წელს მან წარმატებით დაასრულა სწავლა ნიუ იორკის უნივერსიტეტში და მიიღო სახელმწიფო მართვის მასტერის ხარისხი. სწავლის დასრულების შემდეგ იგი მუშაობდა ატლანტის გრეიდის სამედიცინო ცენტრის ფინანსურ და ადმინისტრაციულ დეპარტამენტში.

1993 წელს სანდრო კვიტაშვილი დაბრუნდა საქართველოში და დაიწყო მუშაობა გაეროს განვითარების პროგრამის საქართველოს წარმომადგენლობაში ადმინისტრაციისა და ფინანსების ოფიცრის თანამდებობაზე.

1995-1997 წლებში იგი იყო გაერთიანებული მეთოდისტური კლესიის დახმარების კომიტეტის (ამქორ) საქართველოს მისიის უფროსის მოადგილე და მისიის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი. მისი ხელმძღვანელობით ორგანიზაცია ახორციელებდა პროგრამების ჯანდაცვისა და სოციალურ სფეროებში.

1997 წელს სანდრო კვიტაშვილი გახდა ქართული არასამთავრობო ორგანიზაციის, კურაციოს საერთაშორისო ფონდის პრეზიდენტი. მისი პრეზიდენტობის პერიოდში, კურაციოს ფონდმა განახორციელა მრავალი მნიშვნელოვანი პროექტი ჯანდაცვის მართვის, ფინანსირებისა და ეკონომიკის მიმართულებით, ისევე როგორც მრავალი სხვა პროექტი ჯანდაცვის, განათლებისა და სოციალური დაცვის სფეროში.

2002 წელს იგი გახდა საქართველოს სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამის ჯანდაცვის, სოციალური და განათლების სექტორების ქვეკომიტეტის ეროვნული ექსპერტი - კოორდინატორი.

1995-2002 წლების განმავლობაში იგი მუშაობდა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების კონსულტანტად აზერბაიჯანში, ლიტვაში, უკრაინაში, სომხეთსა და სერბეთში. ამავე წლებში მას გამოცემული აქვს რამდენიმე ანალიტიკური ნაშრომი რომელიც შეეხებოდა ჯანდაცვის სფეროს რეფორმებისა და სოციალური დაცვის სისტემის ანალიზს.

2002-2003 წლებში სანდრო კვიტაშვილი მუშაობდა ნიუ იორკში აღმოსავლეთ-დასავლეთის ინსტიტუტში და მიღწის წინააღმდეგ ტრანსატლანტიკური პარტნიორობის ინსტიტუტის კონსულტანტად.

2004 წელს იგი დაინიშნა აღმოსავლეთ დასავლეთ ინსტიტუტის (EastWest Institute) ადმინისტრაციის დირექტორად, ხოლო 2005 წლიდან ადმინისტრაციის უფროს დირექტორად და ორგანიზაციის მმართველი საბჭოს წევრად. ამ რანგში

ღვი უწევდა მართვას ნიუ იორკის, ბრიუსელის, პრაღისა და მოსკოვის ცენტრებს, ასევე კადრების, ინფორმატიკის, ღონისძიებათა და ზოგადი ადმინისტრაციის დეპარტამენტებს. მონაწილეობდა ორგანიზაციის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში.

24.01.2008წ.

საქართველოს მთავრობის კანცელარიის
საკადრო საკითხთა დეპარტამენტის
უფროსი

კ. ამირანიძე

ც ნ ო ბ ა

დავით ტყეშელაშვილი დაიბადა 1969 წელს ქ. თბილისში. 1996 წელს დაამთავრა ქ. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით.

1995 წლიდან არის საქართველოს პარლამენტის წევრი. მუშაობდა უმრავლესობის ლიდერის მოადგილედ. 1999 წელს ხელმეორედ იქნა არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრად. 1999-2003 წლებში მუშაობდა ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მედიასთან ურთიერთობის ქვეკომიტეტის თავმჯდომარედ. 2004 წელს არჩეულ იქნა საქართველოს პარლამენტის წევრად „ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების“ სიით. 2006 წლის 21 ივლისს დაინიშნა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრად, ხოლო 2007 წლის 30 აგვისტოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრად.

2005 წლიდან ედმონდ მასკის სტიპენდიანტია. 2006 წელს დაამთავრა ემორის უნივერსიტეტი. მინიჭებული აქვს მაგისტრის ხარისხი სამართალში.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

პყავს მეუღლე და ერთი შვილი.

24.01.2008წ

საქართველოს მთავრობის კანცელარიის
საკაღრო საკითხთა დეპარტამენტის
უფროსი

კ. ამირანაძე

ც ნ ო ბ ა

გიორგი ნოდია დაიბადა 1954 წლის 4 სექტემბერს. 1976 წელს დაამთავრა ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი. 1982 წელს მიენიჭა ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

1980-1982 და 1990-2001 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.

1982-1990 წლებში იყო ამავე ინსტიტუტის სწავლული მდივანი, ხოლო 1990-1995 წლებში პოლიტიკის ფილოსოფიის განყოფილების გამგე.

1994-2002 წლებში – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრის დოცენტი (შეთავსებით), ხოლო 2005 წელს – ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი.

ამჟამად არის მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე და ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და პოლიტიკის მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი.

გამოცემული აქვს წიგნები და სტატიები („შრომა და ჰუმანიზმი“ (1986წ. რუსულ ენაზე), „თამაშის ცნება კულტურის ფილოსოფიაში“ (1987წ. ქართულ ენაზე), „საით?“ (1995წ. ქართულ ენაზე), „საქართველო – ბორძიკით დემოკრატიისაკენ. ავნოსტიკური შემწყნარებლობიდან ღვთისმოსავ აკობინელობამდე: საზოგადოებრივი ცვლილება და ადამიანთა რეაქციები“ (2000წ. ინგლისურ ენაზე თეოდორ ჰანფთან თანავტორობით)).

მიღებული აქვს აკადემიური სტიპენდიები :

1991-1992 წლებში ქენანის ინსტიტუტის ვუდროუ ვილსონის სახელობის მკვლევართა საერთაშორისო ცენტრის მკვლევარის სტიპენდია, ვაშინგტონი;

1996 – დემოკრატიის კვლევის საერთაშორისო ფორუმის მკვლევარის სტიპენდია, ვაშინგტონი;

1997 – ბერკლის უნივერსიტეტის საბჭოთა და პოსტსაბჭოური კვლევების ცენტრის მიწვეული მკვლევარის სტიპენდია, კალიფორნია;

1998-1999 – ბერლინის ვისუნშაფტსკოლეგის სტიპენდია;

2004 – ემილ ფრანკის (საპატიო) კათედრა, ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტი;

2001-2004 – ბოხუმის და ბაიროითის უნივერსიტეტების (გერმანიისა და ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტი) (მონაწილე).

24.01.2008წ.

საქართველოს მთავრობის კანცელარიის
საკადრო საკითხთა დეპარტამენტის
გვგრიხი

კ. ამირანიძე

ც ნ ო ბ ა

გიორგი ბარამიძე დაიბადა 1968 წელს ქ. თბილისში. 1992 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტი. 1995 წლის თებერვლიდან ივნისამდე სწავლობდა ჯორჯ მარშალის სახელობის ევროპის უსაფრთხოების საკითხთა და თავდაცვის ეკონომიკის ცენტრში, ხოლო 1998-1999 წლებში - ამერიკის შეერთებული შტატების ჯორჯ თაუნის უნივერსიტეტის საგარეო სამსახურის სკოლაში.

1986 წლიდან 1988 წლამდე გაიარა სამხედრო სავალდებულო სამსახური.

1991 წლიდან 1992 წლამდე მუშაობდა საქართველოს მწვანეთა მოძრაობის აღმასრულებელ მდივნად.

1992 წლის ივნისიდან 1992 წლის ოქტომბრამდე იყო საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კომიტეტის ადამიანის უფლებათა დაცვის სამსახურის უფროსის მოადგილე. შემდეგ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა დაცვის განყოფილების უფროსი.

1992 წლიდან 1995 წლამდე იყო საქართველოს პარლამენტის წევრი, ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიის მდივანი.

1995-1999 წლებში - საქართველოს პარლამენტის წევრი, ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის“ თავმჯდომარე და კორუფციასთან ბრძოლის დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე.

1999 - 2003 წლებში - საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, ნდობის ჯგუფის წევრი და ფრაქცია „გაერთიანებული დემოკრატების“ თავმჯდომარე.

2003 წლის ნოემბრიდან 7 ივნისამდე - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, ხოლო 2004 წლის 7 ივნისიდან 2004 წლის 17 დეკემბრამდე - საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

2004 წლის 17 დეკემბრიდან დაინიშნა საქართველოს სახელმწიფო მინისტრად ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში.

2006 წლის 26 აპრილს დაეკისრა საქართველოს ვიცე-პრემიერის მოვალეობის შესრულება.

ფლობს ინგლისურ, ფრანგულ და რუსულ ენებს.

პყავს მეუღლე და ერთი შვილი.

24.01.2008წ.

საქართველოს მთავრობის კანცელარიის
საკადრო საკითხთა დეპარტამენტის
უფროსი

კ. ამირანიძე

ც ნ ო ბ ა

იულონ გაგოშიძე დაიბადა 1935 წლის 17 ივლისს ქ. თბილისში.
1958 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ისტორიული ფაკულტეტი არქეოლოგიის სპეციალობით.

1983 წელს მიენიჭა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

1968 წლიდან დღემდე ხელმძღვანელობდა სხვადასხვა
არქეოლოგიურ ექსპედიციებს (ისრაელში, კვიპროსში, აზერბაიჯანში,
ქსნის ხეობაში, სამადლოში, დედოფლისწყაროში და სხვა).

არის მრავალი მნიშვნელოვანი სამეცნიერო პუბლიკაციის
ავტორი.

1991 წელს იყო ქ. მცხეთის პრეფექტი.

1995 წლიდან არის გელათის მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსი.

2004–2006 წლებში იყო ქ. თბილისის საკრებულოს წევრი.

2005 წელს დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

დღემდე მუშაობს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში მთავარ
მეცნიერ თანამშრომლად.

ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟიშვილი.

24.01.2008წ.

საქართველოს მთავრობის კანცელარიის
საკაღრო საკითხთა დეპარტამენტის
უფროსი

კ. ამირახიძე

ც ნ ო ბ ა

თემურ იაკობაშვილი დაიბადა 1967 წელს ქ. თბილისში.

იგი არის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თანადამფუძნებელი და აღმასრულებელი ვიცე პრეზიდენტი.

თემურ იაკობაშვილი პროფესიულ საქმიანობას შეუდგა 1990 წელს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, სადაც 2001 წლამდე მკაფიო სხვადასხვა თანამდებობები, რომელთაგან ბოლო გახლდათ ამერიკის, კანადისა და ლათინური ამერიკის დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობა. მას მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგი.

თემურ იაკობაშვილმა საშუალო განათლება მიიღო თბილისის 84-ე საშუალო სკოლაში და კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სკოლაში. 1984 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი. 1998 წელს გაიარა სპეციალიზირებული დიპლომატიური კურსები ოქსფორდისა ბირმინგემის უნივერსიტეტებში (დიდი ბრიტანეთი). 2002 წელს მიიღო იელის უნივერსიტეტის მსოფლიო ლიდერთა პროგრამის სტიპენდია (აშშ). 2003 წელს გაიარა უსაფრთხოების საკითხებზე უმაღლესი კურსები ჰარვარდის უნივერსიტეტის კენედის სახელობის სახელმწიფო მმართველობის სკოლაში (აშშ). 2006 წელს უპსალას უნივერსიტეტის "აბრეშუმის გზის კვლევების ცენტრში" (შვედეთი) იყო მიწვეული მკვლევარი.

თემურ იაკობაშვილი არის საქართველოს საგარეო ურთიერთობათა საბჭოსა და საქართველოს ატლანტიკური საბჭოს თანადამფუძნებელი და გამგეობის წევრი. საქართველოს საზოგადო საქმეთა ინსტიტუტის გამგეობის წევრი.

თემურ იაკობაშვილს აქვს მთელი რიგი საგაზეთო და სპეციალიზირებული პუბლიკაციები ეროვნული უსაფრთხოების, კონფლიქტებისა და საერთაშორისო ურთიერთობების თემებზე. ბოლო პუბლიკაცია: „შეუძლია თუ არა საქართველოს ნატოში ინტეგრაცია აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების საბოლოო მოგვარების გარეშე“ (გერმანული მარშალის ფონდის გამოქვეყნება).

თავისუფლად ფლობს რუსულ, ინგლისურ და ივრითულ ენებს.

პყავს მუღლლე და ორი შვილი

24.01.2008წ.

საქართველოს მთავრობის კანცელარიის
საკადრო საკითხთა დეპარტამენტის
უფროსი

ქ. ამირანიძე